

სასსლსთ გაზეთი

რედაქციისათვის
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელ-მოწერილი მისივე ადრესით.

გაზეთის ფასი:
ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.
წლის დამფარავად 75 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა 3-ტენბერგისა, ოლგისა და სლევცოვის ქუჩების კუთხე.

კვირა, 11 ოქტომბერი. 1909 წ. კვირა, 11 ოქტომბერი.

კვირას, 11 ოქტომბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ან. ჩინგაძის და ნ. კოლხაძის, ვალ. გუნას და შ. შარაშიძის მონაწილეობით ცნობილი პიესა ა. სუმბათაშვილისა.

ღელატი

ლეგენდა-დრამა 5 მოქმედებად. თარგ. გ. ყაფიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს ქ. ნ. ჩინგაძე (ამ სეზონში, უკანასკნელად რუჟიას—ნ. კოლხაძე. ოთარ-ბეგისას—ვალ. გუნა).

მონაწილეობას იღებენ: ქ. ნ. ჩინგაძე, ნ. კოლხაძე, ბ. ნუბიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ. ნ. აბაშიძე, გ. გამყრელიძე, გ. გუდუაშვილი, ნ. გვარამია, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-სამშელი, ვ. მატარაძე, ნ. შარაშიძე, შ. საფარაძე.

ადგილების ფასი: ლოქები 12 მ. 50 კ. მდე, პარტერი 3 მ. 50 კ. და 1 მ. 60 კ. მდე, გალერეა 40 კ. და 20 კ. მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

შადრდება წარმოსად. „თი გიდი მეგობრებო“.

მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

გაიხსნა ტფილისის კერძო ახალი სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამოგზიარო განყოფილებით. ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

- ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.
- ღამბაშიძე ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყ., დღეს; კვ. გარდა 11—12 საათ.
- გელაშვილი ვ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10¹/₂—11 ს.
- გუგუშვილი ვ. ა.** შინაგ შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
- კარაგინი ა. ა.** კან. და გენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2¹/₂ 3¹/₂ ს.
- მალაშვილი ვ. ვ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
- მანსვეტიანი ვ. ვ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.
- მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედა-ბ. ყოველ-დღე 12 | 1 ს.
- მუსხელიშვილი ვ. ს.** თვლის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—2¹/₂ ს.
- შირაღოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.
- პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2¹/₂ ს.
- რცხილაძე ნ. კ.** კბილ. ყოვ. დღე 9—11 საათ.
- სოგოლაშვილი ვ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღე 9—11 საათამ.
- თიანაძე ი. მ.** დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.
- ფედოროვი ე. ვ.** მიკრ. ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (50—3)

- ვ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—2¹/₂ ს. თვლისა. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიების განხილვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
- ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.**
- ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
- ე. ვ. ფედოროვი**—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავთმყოფობანი. (50—3)

მ. ი. მ. მ.
პ. არღვიანაძე
განახლდა ავადმყოფების მიდგმა. ბავშვების და შინაგან ავადმყოფ. ადრესი: კუთხე მედიკოსის და ალექსანდროვის ქუჩა ინტენსივტოს პირ დაპირ. 9-ე სავ. უბანში.

იღებს ავადმყოფებს დღით 9—12 საათ, საღამოთი 5—7 ს.

რადგან განვიძრავთ ალექსანდრე ყაზიბეგის და ბექტედის ქსების გამოცემა, ამისათვის ვთხოვთ, ვისაც-კი ამ მწერლის ახალგაზღვრების სურათი მოეპოება, მოგვაწოდოს შემდეგის ადრესით: ნაძალადევი მაგისტრალნი ქუჩა, № 2, გრიგოლ ჩარკვიანს. დაბეჭდვის შემდეგ სურათი ახლად დაბეჭდილის ერთის ცალით, მაღლობით და უბრუნდება პატრონს. (10—2)

ტფილისი, 11 ოქტომბერი.

მიწად-მოქმედებისა და მოწყობის უმთავრესმა მმართველობამ ნება დართო, გარდა ორის ახალ საშუალო სასოფლო მეურნეობის სასწავლებლისა, გაიხსნას 1910 წელს, სახელმწიფო ხაზინის დახმარებით, კიდევ 16 დაბალი სამეურნეო სკოლა, 7 სკოლა მერძევეობისა, 18 სავაჟო და 3 საქალეზო პრაქტიკული სკოლა. სასოფლო მეურნეობის პრაქტიკული კურსები განზრახულია გასახსნელად 24 გუბერნიაში, 48 ადგილას, სახელდობრ 22 სასოფლო მეურნეობის სკოლებთან, 8 საცდელ სას.-მეურნეობის დაწესებულებასთან და 18 სოფელში, სადაც უფრო ხელის შეწყობი პირობები იქნება. სას.-მეურნეობაზე კითხვებს მოაწყობენ სახელმწიფო აგენტები 14 გუბერნიაში, 175 ადგილას.

კავკასიას და კერძოდ საქართველოს არა ნაკლებ ესაქიროება სასოფლო მეურნეობის ცოდნა. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ხასიათისა: 100 მცხოვრებთა შორის 77 ზე მეტი მიწად-მოქმედია. მაგრამ რამდენად დაქვეითებულია მეურნეობა—ეს უმთავრესი ჩვენი ცხოვრების საღსარი, ყველას კარგად მოეხსენება. საზღვარ გარეთ ერთ ბოღჩა ადგილი დან მეტს შემოსავალს იღებენ, ვიდრე აქ რამდენიმე დესეტინიდან. არა გვაქვს საქირო ცოდნა და არც არავინ ზრუნავს ამაზე. უნდა ერთხელ და უკანასკნელად შევიგნოთ, რომ ჩვენთვის ჩვენვე უნდა ვიზრუნოთ.

ანდერძი*)

რეველო! მე თუ მოვკვდები, შენ ხომ დარჩები ამიერ, მე მიწის მიწად ვიქცევი, შენ ივლი დღე და ღამიერ.

გემუდარები, ჩასძახო ერობას ყოველ-წამიერ, რომ მხოლოდ ძმურის ერთობით იცოცხლებს მრავალქამიერ. ალ. ყაზბეგი. 1889 წ.

ჩემო იღბალი

ჩემო იღბალი, მითხარი სად არის იგი მხარეო,— რომ პირ-ნათელად შეუქობდეს თითონ მზე ანუ მთვარეო?! სად არის,—იგი ედემი,— ჰყვოდეს არე-მარეო,—

ბ. ნ. გრიგოლ ჩარკვიანისგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო რეველი 22 ლექსით განსვენებულ ალექსანდრე ყაზიბეგისა. ჩვენ გახეთში დაბეჭდვის შემდეგ ბ. ნ. ჩარკვიანს განზრახვა აქვს ეს ლექსები ცალკე წიგნად გამოსცეს.

სადაც შეგვეძლოს ძმის უთხრა: მო, ძმურად მომეხმარე?

ჩემო იღბალო!.. მიჩვენე: სად არის იგი ერიო, რომ ძველებურად ღრეობდეს მმართავდეს „ხევრს ბერიო“?! ან თემთა პირის დიდებულ დროშები ათას ფერიო, კვლავ სადმე ჟღერით მატკობენ, არის ეს დასაჯერიო?!

ჩემო იღბალო! რა ვარ მე, რა პირუტყვისა გვარია?.. რასა ვლოცულობ?.. რწმუნებად ნუ თუ დღეს კიდევ ჯვარია?! მყნოსიერს ბალახს წესისებრ ზეციით ეფრქვევა ცვარია?! თუკი ანა რაღად ვკენს თვალს რად არ შრება ღვარაა?!

ჩემო იღბალო! ეს იყო იმედი მირონ ცხებული? მზე შავი, მთვარე უფსკრული სიცოცხლე ჩაბნელებული, გულს ცეცხლი, სულსა აღშფოთვა ცხოვრება ჩაბნელებული!.. აჰას ველოდი, ლოდინში რწმუნება გახელებული!

ჩემო იღბალო! სუყველგან ყველა ვით იქნა მონადა? ან თუ რას რიგად გაუხდათ ეს დღენი მოსაწონადა? თვით ვარდი, ია, ზამბახი

ვით იქცა ეკლის კონადა და სამარცხვინო სიმცირე ვით გახდა ჩასაკონადა?!

ჩემო იღბალო! კაცობა ვით დაავიწყდა ქუდსანს? მათ შორის, ერთი ლომ-გმირი ნუ თუ სრულიად არსად სჩანს?.. ვით მთავრობს დასამცირებელს მონობას, მითხარ: ამდენს ხანს ერთხელ ხმალს ფხიანს ვერა სცდის მარადის გულის მოსაფხანს?!

ა. ყაზბეგი.

საპურადლეგო დაკუეუბის უინაარსი.

გაზეთებიდან.

გაჯგი. საერობო კრებამ საყოველთაო განათლების შემოღებისათვის 91,000 მანეთი გადასდო.

თავრიაზი. თავრიზიდან წავიდა რუსის ჯარის უფროსი, გენერალი სნარსკი. სნარსკის მოვალეობის აღსრულებას პოლკოვნიკი ჩაპლინი შეუდგა.

პეტერბურგი. დღე-ღამეში ავად გახდა 20 გარდაიცვალა 6, ავად არის 358 კაცი.

თავრიზში დარჩენილი რუსეთის ჯარის უფროსათ დაინიშნა პირველ მსროლელთა ბათალიონის პოლკოვნიკი ჩაპლინი.

თეიანია. სპარსეთის ელჩი პეტერ-

მასავით სათლელ მამულს გადახედავს და გულ-დაწყევტილი ისევ მალე მოაშორებს თვალს, რადგან იგი ეხლა მისი აღარ არის, არამედ სხვას ახარებს.

ან მოდი და გასძელ გულო, ნუ აღელდები და ნუ აჩქროლდები, როს გადახედავ ცივ გომბორის მთებიდან საუცხოვეო წალკოტ—კახეფს, შეაჩერებ თვალებს მშვენიერად გაძაბულ, ვაზით სავსე ზვრებს და გულ-დაწყევტილი იმეორებ ათრთოლებული ტრჩებით: ისიც ხელიდგან გაუშვა ქართველმა, ისიც დაჰკარგა, ისიც სხვისაა, ისიც სხვისაა და თითქმის რაც-კი რამ კარგია კახეთში, სულ სხვისაა და სხვისა; რაც რამ ამოვარდნილია, გაპარტახებული, ჩვენია და ელის გამშვენიერებას, გაკარგებას... ხოლო უცხო სხელით, უცხო დაპატრონებით. ჩვენ-კი—ჩვენ ჩვენი დედულ-მამულის ბოროტი დედინაცვლები გამხდარვართ და აკი მოგვიძულეს კიდევ მათაც: როდესაც უცხოელთა ზვრები დღიურზედ შვიდი და რვა საპალნე მოდის, ქართველი ამ დროს ზედაშის ქოცოსაც ვეღარ ავსებს.

მშვენიერი შავი ზღვის პირებმა, ჩვენმა ისტორიულმა კოლხიდან რა და დედობა გაგვიწია, მკითხველო? ეხლა იქ ქართველს აკრძალული

ბურგიდან რომში გადაიყვანეს. მის ადგილზე დაინიშნა მუხთეშამუს-სალთანე, ახლანდელი ურმიის გუბერნატორი.

ახალი ამბავი

მიხეილ ცინცაძეს, სოლომონ ბახუტაშვილს, ალ. გოგოშვილს, აბრამ ძანკაშვილს და რომან მეთოლიშვილს, რომელთაც კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოს მიერ მისაჯული ჰქონდათ სიკდილით დასჯა, შეეცვალათ სასჯელი ყოველივე ღირსება-უფლებათა ჩამორთმევით და სამუდამო კატორღაში გაგზავნით.

როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს თანდათან ხშირდება ჩვენში საახალშენო მიწების შექმნა. ამ მიწებზე ასახლებენ უცხო ქვეყნიდან გადმოსახლებულთ. როგორც გადმოქცევს, ამ დღეებში 40-მდე სომეხი უცხო ქვეყნიდან მოსულნი წავიდენ კახეთისკენ სასყიდელ ადგილების დასათვალიებლათ და პატრონებთან მოსალაპარაკებლათ.

როგორც „კავკასი“ გადმოქცევს, ქუთაისის გუბერნატორმა, გააუქმა განკარგულება შესახებ ოზურგეთის მაზ., სოფ. ჯურუყვეთის საზოგადოებისა, რომლითაც ხსენებულ საზოგადოებას უნდა გადაეხადა ის ხარჯები, რაიც გამო-

აქვს დასახლება. ამ ბუნების სიმდიდრეზედ ქართველს შორიდგან ნერწყვი მოსდის პირში, ხოლო ახლოს შეხებას როგორ გაბედავს—აკრძალული აქვს.

ან კიდევ... მაგრამ რა კიდევ?! განა ქართველი დაიღლება წარსულზედ ლაპარაკით?! დავანებოთ თავი ძველს მოგონებას. ამბობენ, მხოლოდ შეუგნებელი, უფიცი ცხოვრობს წარსულის მოგონებით, შეგნებული და უნარიანი წინ იხედება, იქით მისწრაფისო.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს, ივრის ხევის რამე-რუმეს. როს გაცვილდებით თბილისის მიდამო-განრიოკებულ გადაშვარ მინდვრებს, ავალთ ვაზიანის აღმართს და გადავხედავთ „სამგორის“ უშველებელს, ტაშივით სწორს მინდორს, გაქედილს ზღვასავით მღელვარე ოქროს ფრად მობიბინე ყანით. შორით მოჩანან ცივ გომბორის ამწვანებული ტიტველა მთები, ეგრედწოდებული „ცივი“, მარცხნივ ყოველთვის ხასხასა მწვანე წალმიანი; აგერ მხიარულად მოჩუხჩუხე იორსაც მივადექით; მის გაღმა გაძაბულა მდიდარი სოფელი ხაშში თავის მშვენიერად მსხმოიარე ვენახებით, მწვანეთ აბიბინებული სიმინდებით; მალე პატარძალივით კობტა პატარძელიც

იწვია ამა წლის 9 ივლისიდან იქ ჩაყენებულ ეგზეკუციის შენახვამ.

20 ოქტომბერს ქართულ თეატრში ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. ლექციის წინ ბ-ნი ივ. გომართელი წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფიულ-დახასიათებას. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზე.

თავ. გიორგი ამილახვარიც არ ჩამორჩა სხვებს და მასაც გადაუწყვეტია, მიჰყიდოს უცხოელებს მიწა წყალი. თავ. ამილახვარს, რაც მწირი და დასამუშავებლად გამოუსადეგარი ადგილები ჰქონდა, ძალა იყო თუ ნება, შეუსყიდნია ქართველ გლეხობისათვის, ხოლო საუკეთესო და ნაყოფიერი ადგილი გორის მახლობლად, სახელად „ტირიფონა“, გადაუწყვეტია მიჰყიდოს პოლტაველ გლეხებს. თავ. ამილახვარი 150 მანათად ჰყიდის თურმე დესეტინას.

როგორც ნამდვლ წყაროებიდან ვაგვიგეთ, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ქართული ენის ვაკვეთილება საგრძნობლად შეუმცირებიათ. აღსანიშნავია, რომ გიმნაზიაში ბევრი ქართველი სწავლობს,

სოფელ დგვრისიდან (გორის მაზრა) გვატყობანებენ: ვასო მინდიაშვილის ქვრივს ბაღში სოკო მოეკრიფა, შეეწვა და ექამათ თი-

გადაგეშლება, რომელიც მოზდილს ქალაქს უფრო წააგავს, ვიდრე სოფელს; აგერ უზარმაზარი საგარეჯოც ხომ იქვეა თავის გამაუბედურებელი თვალთხევით?); ზვიდგან დაჰყურებს ცივის „ბებერი კლდე“, რომელიც უხვად უგზავნის უშველებელს, წისქვილს რომ დააბრუნებს, ცივს წყაროს და გრილს ნიავს.

მალე პურის ბოლაში გიორგი წმინდაც გამოჩნდება კორტოხზედ თავის თეთრი საყდრით, რომელიც თავმდაბლათ, ალერსით დაჰყურებს წინ გაშლილს ფართო ივრის ხეობას, უკან დარაჯად თავს დასდგომია უშველებელი ტიტველა ყოველთვის მწვანე „ცივის“ მთები, რომელზედაც გალადებული დახტიან ჩასუქებული მოზვრები და საკლოვოთ დასასუქებელი ცხენები. ცოტა მოშორებით პატარა თოხლიაური მრავალი ვენახებით და ყოველთვის თვალისთვის საამოთ ამწვანებული „ალინჯით“, ოდესმე ჩალოთ მოსილი, ხოლო ეხლა დაუღალავი მუშაკის მარჯვენით სიმინდით და ფეტვით გაქედილი. აქ გლეხს მხარში უდგა წყნარი, მშვიდი, ძველადვე გლეხის მე-

* მინდორია თოხლიაურის ბოლოს თავად ჩერქეზიშვილების მამული.

ივრის ხეობის რამე-რუმე.

იშვიათად შეხვდები ქართველს, რომელსაც-კი ცოტაოდნათ მაინც შეესწავლოს თავის სამშობლო; დავაროს იგი და დამტკბარიყოს მის სასწაულებრივ სიმშვენიერით, რომელიც ასე ძლიერად ჰხიბლავს მრავალს „ცხოვლის“ მოგზაურს და რომელთ წყაროებიდგანაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, გვეძლევა საშუალება ცოტადენი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ ჩვენს წალკოტს ქვეყანაზედ.

ან იქნება იმიტომ ერიდება ქართველი მოგზაურობას, რომ იგი გრძნობათ ნაქცევთ, შესაძლებელია, დიადი სურათების და ნაშთების ნახვით, ცრემლად დაიდვაროს და დადნეს? მჯერა, რომ ქართველი კაცს ჩვილი გული სამართლიერად აღუღდება და აცრემლდება მშვენიერი სამცხე სათაბაგომესხეთის მთა-ბარის ნახვით, სადაც ქართველნი ოდესმე ლად პატრონად გრძნობდნენ თავს და დღეს-კი ქართველის სახელი იქ უცხო ხილია. მჯერა, რომ ჩვილი გული ქართველისა აჩქროლდება და აიმღვრევა, როს თვალ-გაღუწვდენელ ორბელიანთ, მელიქიანთ და ბარათაანთ დუ-

ონაც და ბავშვებსაც. სოკო შხა-
ნი გამომდგარა. მოწამლულან
და გარდაცვლილან თითონ დედა
და ორი ბავშვი. შემთხვევით გა-
დარჩენილა ორი სხვა ბავშვი. მაგ-
რამ ისინი ღვთის ამარად არიან
თურმე დარჩენილი—პატრონი არა-
ინა ჰყავთ.

◆ „კასპი“ს პეტერბურგიდამ დე-
ვით დაუჯერებელ ამბავს ატყობი-
ნებენ: „რადგან სერგეი ფინლანდი-
ელმა, ნიკოლოზ ვარშაველმა და
ბლექსი ტვერელმა უარი სთქვეს
საქართველოს ექსარხოზობაზე, რო-
გორც ვაზეთები გადმოქცემენ, სა-
ინოდლო წრეებში იმ აზრისა არიან,
რომ ექსარხოზის კათედრაზე და-
ნიშნონ სოხუმის ყოფილი ეპისკო-
პოსი კირიონი“.

◆ გუშინ, 9 ოქტომბერს, ნაშუა-
დღევის ოთხ საათზე წაასვენეს ტფი-
ლისიდან ბათუ ში ცხედარი უდრო-
ოდ გარდაცვალებულ გრიგოლ ვოლ-
სკისა. ამ დროსთვის ქვაშეთის წმ.
გიორგის ტაძარში შეიკრიბნენ ნა-
თესავნი, პატივისცემელნი, მასწა-
ლებელნი, მოწაფენი და დიდძალი
საზოგადოება. სიტყვები წარმო-
სთქვეს კ. აბაშიძემ, ა. ხატისოვმა,
ბ. სურგულაძემ. ტაძრიდან ცხედა-
რი ვოგზალზე წაასვენეს, ხოლო
იქიდან ცალკე ვაგონით—ბათუმს.
თან გაჰყვენ ბათუმიდან ჩამოსული
ადგილობრივ თვით-მმართველობის
წარმომადგენელნი. ცხედარი მიაცი-

გობარი თავადი ჩერქეზიშვილი, რო-
მელიც დაუთაკილებრივ სიამოვნე-
ბით აკვდებოდა და ექიდება მათთან
ერთად შავს მიწას.

იქვე ზედ აკრავს თოხლიაურს
ოღროზოლო, ციებ-ცხელებით გან-
თქმული, ცნობილ ფრიდონოვის
უზარ-მაზარი ზვრებით შემკული,
დაბეჩავებული მანავი, საიდანაც ძვე-
ლად ჩვენი მეფეები სასახლისთვის
ტკბილს ღვინოს ეზიდებოდნენ.

სოფელ მანავს მხარს უმშვენებს
პატარა, მყუდრო და მორცხვით ჩა-
მალული ხევში, განთქმული თეთრი
ღვინით, ჩაილური.

მთის კალთებზედ შეფენილი, ქე-
რის მოსავლით განთქმული კაკაბე-
თი. შორს, ივრის პირას მდებარე,
მთელი ივრის ხეობის ამწიოკებელი,
ქურდობით განთქმული თათრის სოფ.
მულანო და მთელი ივრის ხეობაც
ჩვენ თვალწინ გადაიშლება და ყვე-
ლა ეს სანახაობა უფრო სხვაგვარ,
ტკბილს და სასიამოვნო გრძობას
იწვევს ჩემში. აქ ყველა წყლის ჩუხ-
ბუხი, ტყის ფოთლის შრიალი, კი-
ბოზედ ჩაგრებილი, ყმაწვილის ოდე-
ნა მტყუნებით შემკული ვაზი, ჩემ-
თვის უფრო ნაცნობი, მშობლიური,
საყვარელია, რადგან მაგონებენ მრავ-
ალს სასიამოვნო წამს ჩემს სანეტა-
რო ბავშვობის ხანიდან. მაშნუ მი-

ღეს ვოგზალზედ მოწაფეებმა და მა-
სწალებლებმა.

◆ „დროების“ რედაქციას მოუვი-
და გრ. ვოლსკის გარდაცვალების
გამო დებულები შემდეგ ქალაქები-
დან: ბაქოდან, ერევნიდან, ქუთაი-
სიდან, გორიდან, ზაქათალიდან და
სოხუმიდან.

◆ ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს,
მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა.
თავმჯდომარემ ბ-ნმა ალ. ხატისოვ-
მა საბჭოს აცნობა გარდაცვალება
მოღვაწისა და მწერლის ბათუმის
ქალაქის გამგეობის წევრად ნამყო-
ფის გრიგოლ ი. ვოლსკისა. ეცნო-
ბა საბჭოს მისი მოღვაწეობა რო-
გორც საქალაქო, ისე სამწერ-
ლო ასპარეზზე. საბჭომ, გამგეო-
ბის დადგენილებისამებრ, გადასწვი-
ტა სამძიმარი გამოუცხადოს ბათუ-
მის ქალაქის გამგეობას და გვირგვი-
ნით შეამკოს განსვენებულის ცხე-
დარი. ამის გარდა საბჭომ ფებზე
ადგომით პატივი სცა განსვენებუ-
ლის ხსოვნას.

◆ პარასკევის საერობო კომისიამ
ტფილისის გუბერნატორის თავმჯდო-
მარეობით ნაშუაღამის 1 $\frac{1}{2}$ საათს
გასტანა და 34 ხმით 15-ის წინააღ-
მდეგ მიიღო მცირე საერობო ერ-
თეული, მაშასადამე, კრების აზრით
ტფილისის გუბერნიაში სამ საოთუ-
ლიანი ერობა უნდა იყოს შემოღე-
ბული: საგუბერნო, სამაზრო და
სასოფლო.

წყენთ, რომ მე ესე ძალიან მიყვარს
ჩემი ივრის ხეობა და დღეს უფრო
მასზედ ვლაპარაკობ. ხომ იცით:
ჩიტი სადაც გაიზდება, იმისი ბაღ-
დადი ის არისო. მაგრამ, ღმერთმა-
ნი, შენც მოგეწონება ეს ხეობა,
მკითხველო. აბა ეწვიე როდისმე! ან
რომელი კუთხე საქართველოსი არ
არის მოსაწონი? აქ სილამაზ-სიმშვე-
ნიერით მთა და ბარი, აღმოსავლეთ-
დასავლეთი ერთმანეთს ეჯობრება და
რომელსაც დღეს ჰნახავ, ის გაგი-
ტაცებს, მიგიკრავს მკერდს თავის
შთაბეჭდილებით, ასე რომ აღარც
კი გინდა მოსლტე მოშორდე.

იქნება მგზავრობა და შორს წა-
სვლა ქართველს იმისთვის ეზარება,
რომ ეშინიან შორს, სახიფათო მგზა-
ვრობამ ამ მშვენიერს სანახაობას
უდროგოთ არ მომაშოროსო?! არც
საკვირველია: მდიდარს კაცს ენანე-
ბა სიკვდილი, თორემ ღარიბი რასა
ჰკარგავს. მართლა და შესაბრალო-
სია კაცი ამისთანა უხვად დაჯილ-
დოვებულ ბუნებას ადრეულად გა-
მოესალმოს მისი ცქერით და ტკო-
ბით გაუშამღარი!

იერემია გულისაშვილი.

(შემდეგი იქნება)

◆ შარშან დაარსეს ქართული
საბავშვო ბაღი, ისიც ეხსომებათ
მკითხველებს, რომ ეს ბაღი ადგი-
ლობრივმა სამოსწავლო მთავრო-
ბამ აღკრძალა. შემდეგ თხოვნა სა-
მინისტროში გაგზავნეს: აცნობეს
ისიც, რომ ბაღს ოჯახური ხასიათი
აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა,
სამინისტროდანაც უარი მოუვიდა.

◆ „რუსკ. ვედ.“-ს სიტყვით 1—
30 სექტემბრამდინ სიკვდილით დას-
ჯა ვადაუწყვეტით 134 კაცისთვის,
სიკვდილით დაუსჯიათ 31 კაცი.
სულ პირველ იანვრიდან 30 სექტემ-
ბრამდინ სიკვდილით დასჯა ვადაუ-
წყვეტით 1,031 კაცისთვის, სიკვ-
დილით დაუსჯიათ 447 კაცი.

◆ ამ ორი-სამი თვის წინად
წაეკითხეთ, რუსეთში განზრახული
აქვთ ღაარსონ საზოგადოება, რო-
მელსაც მიზნად ექნება რუსეთში
მცხოვრებ ერების დაახლოვება და
გაცნობა. „რეჩი“-ს სიტყვით 3 ოქ-
ტომბერს მომხდარა ამ საზოგადოე-
ბის დამაარსებლების კრება. კრებას
დასწრებიან მაკლაკოვი, ტესლენკო,
პრივატ-დოცენტი კუზმინსკი, ა. ი.
ჯამგაროვი და სხვები. კრებას გა-
დაუწყვეტია ამ მოკლე ხანში მოი-
წვიონ დამფუძნებელი კრება. ახალი
საზოგადოება „რუსეთში მცხოვრებ
ერების ერთობა“ ხელს შეუწყობს
თვითეულ ერის ეკონომიურ და უფ-
ლებრივ გათვითცნობიერებას, ერე-
ბის დაახლოვებას და სხვა. საზოგა-
დოების დამფუძნებელ კრებაზე ილა-
პარაკებენ პროფესორი ვულფი, მაკ-
ლაკოვი, პრივატ-დოცენტი კოტ-
ლიარევსკი და სხვები.

მხროველთა ბიჭუა.

სამ უკანასკნელ დღეს სალდათის ბა-
ზარში სამუშაოს საშოვნელად
გამოვიდნენ: იშოვნეს:

მუშა	1078	—	283
დურგალი	38	—	24
კალატოზი	67	—	41
მომკირწყლავი	94	—	58
მეფესტე	39	—	21
მხატვარი	47	—	43
მებუხრე	22	—	8
იატაკის გამწმენდი	22	—	16

ნუ თუ მართალია?

„ქანეთის“ წვერთა წლეკანდელ კრე-
ბაზე თუმცა სულ ადგილობრივი მცხო-
ვრები იყვნენ, მაგრამ ღაპარაკი მაინც
უცხო ენაზე სწავშობდა. ეს მაშინ,
როცა ზოგს არც-კი ესმოდა ეს ენა.

**სამტომ თანხროპითი მოქმე-
დობას თუ რა ზედამი მოსდევს,
ამის მაგალითს გადმოგვცემს
„დროების“ კორესპონდენტი ს.
ჩუვათელაშვილის მხროველობა შე-
სახება.**

სოფ. ჩუვათელეთი 60-დე კომ-

ლისაგან შესდგება. მთელ საზოგა-
დოებას ეკუთვნის აბანოები. დღეს
აბანოსთვის წყალი ცხელდება უბ-
რალო დიდ ქვაბში და მოსულნი
ბანაობენ ხის გობებში, რომელნიც
ერთ დაცხავებულ სახლში მოუთავ-
სებიათ.

ახლა რომ მიბძანდეთ ამ სოფელ-
ში, ინახულებთ მშვენიერ თლილი
ქვის შენობას. ეს შენობა აბანოს-
თვის აუშენებიათ და ვახუშტის-
თვის მზად იქნება. მცხოვრებნი ოთ-
ხას თუნად გარიგებიან მოიჯარა-
დრეს. თავიანთი მუშაობა და მასა-
ლის მიტანა რომ ჩაადონ, ეს და-
სრულებული შენობა ხუთას თუმნამ-
დე უჯდებათ.

მცხოვრებნი დიდის ერთგულებით
ეკიდებიან ამ საქმეს, ერთობა გა-
ნუხორციელებიათ ამ საქმეში, ყვე-
ლას თანასწორად გადაუხდია ხვედ-
რი ფული და თანასწორადაც ისარ-
გებლებს შემოსავლით. სასიხარუ-
ლოა ასეთი ერთსულობა სოფლისა
ამისთანა სასარგებლო საქმეში. ჩუ-
ვათელეთელების საქმე პირველი მა-
გალითია იმისი, თუ რა შეუძლიან
სოფლის ერთობას და პირიანობას.
სხვა სოფლებებსაც ბევრსა აქვს სა-
ერთო სასარგებლო საქმე გასაკეთე-
ბელი, მაგრამ ისეთი ერთობა ვერ
შეუგნიათ, დალუბავენ საქმესაც და
თავიანთ თავსაც. თუ შემდეგშიაც
ასე მიჰყვებიან ერთმანეთს აქაურები,
იმედია მალე გამართავენ სკოლას,
კარგ სკოლას და არა ისეთს, რო-
გორც ეხლაა ჩვენს ქვეყანაში, გაა-
უმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას,
უკეთა სჭამენ და უკეთ ჩაიცვ-დაი-
ხურავენ.

ქართული ენის დამახინჯება.

ძველებურ ოჯახში მომიხდა ყოფ-
ნა. დარბაისელი მანდილოსანი მშვე-
ნიერის ქართულის ენით გვიამბობ-
და საინტერესო ამბავს ირაკლი მე-
ფის ცხოვრებიდან. სმენად ვიყავი
გარდაქცეული. უცებ შემოვიდა მისი
შვილის შვილი, 18—19 წლის ქალი,
გიმნაზი-ს მეშვიდე კლასის მოწაფე,
რომელმაც სხაპასუბით დაიწყო:
იცათ, ბაბუშკა, რა ნესჩასტნი სლუ-
ჩაი მოხდა ჩვენს კვარტირაში? ჩვენ
კვარტირაში დადგა ერთი აფიცერი
სყენოი. იმასა ჰყავს ერთი პატარა
მალჩიშკა. თურმე, ნუ იტყვით,
უგოლში რუჟიო მდგარა ზარიანე-
ტი, ამ მალჩიშკას ეს რუჟიო ლა-
შადკათ გადუკეთებია და ოთახში
სკაკატისა შვრება, ნეჩაინათ კურო-
კისთვის მოურტყამს ფეხი, რუჟიოს
ვისტრელი უქნია და ნასოკი სკვოზ
პროსტრელიტი მოსვლია. ამ ვის-
ტრელზე შემოვარდა დედა, დაინახა
თუ არა მალჩიშკა, მაშინვე ოპოჩკა-
ში ჩავარდა. აი აქეთ უქსუსი, იქა

წყალი, ძლივს ჩუვსტვოში მოვიყვანეთ.

რას არაკუნებ, შვილო, მე შენი ვერაფერი გავიგე.

დამსწრე.

სასოფლო-სამეურნეო სკოლა სოფ. ხორშუი (სამეგრელო)

საქართველო რომ სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და ჩვენებური მეურნეობა კი დაბალ საფეხურზე სდგას, ამაზე ათას ერთხელ დაწერილია ჩვენ ჟურნალ გაზეთებში. ქვეყნის სასიკეთოდ მეტად საჭიროა ადგილობრივ ძალების მზრუნველობა. ერთი მაგალითი ამ გვარ მზრუნველობისა ეკუთვნის პატივცემულ ეკატერინე აბდუშელიშვილისას, რომელსაც განუზრახავს სასოფლო სკოლის დაარსება ხორშუი.

ამის შესახებ ბატ. ვერისელი „დროებაში“ სხვათა შორის სწერს: ცნობილ ლუარსაბ ლოლოუს დამ, ქ-ნმა ეკატერინე აბდუშელიშვილისამ ხორშუის საზოგადოებას, მიმართა, ხორშუი სამეურნეო სკოლა გახსენითა და მე სასწავლებლისთვის შეიდ თვალთან სახლს და 25 ქცევა მიწას შემოგწირათო. ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა სამიწათ-მთქმელო სამინისტროში, რომ საზოგადოებას ამ საქმისთვის ყოველ წლიური სუბსიდი დანიშნოდა და სახაზინო ტყიდან ხის მსალა მიცემოდა მიწის შემოსაკავებლად და სკოლისათვის სხვა საჭირო შენობების დასადგამად. სხვებიც დაპირდნენ საზოგადოებას დახმარებას, მაგალითად: მხეტურად მოკლულის ცნობილ სპირიდონ ნორაკიძის ქვრივმა 600 მანეთი აღუთქვა საზოგადოებას, თავად შიხვილ ლევანის ძე ჩიჩუამ და მისმა მემკვიდრემ—4 ქცევა მიწა, მღვდელმა ივანე კანკავამ ქცევა ნახევარი მიწა, აზნაურმა გუგუნავებმა, ფილუ კემულარიამ და აბდუშელიშვილის სხვა მოსაზღვრეებმა თითო ქცევა მიწა.

მთავრობამ შეიწყნარა ეკატერინე აბდუშელიშვილის შუამდგომლობა და წარსულ აგვისტოში გამოგზავნა აგრონომი ტიმოფევი, რომელმაც დაათვალიერა მიწები და სახლი და საზოგადოება გააცნო სკოლის წესდებას. ამ წესდებით, საზოგადოებას ყოველ წლიურად მიეცემა სუბსიდიად 2000 მანეთი. სკოლაში მიღებული იქნებინ სასოფლო სკოლის პირველ კლასში სწავლა დამთავრებულნი, არა ნაკლებ 13 წლისანი. სწავლა იქნება როგორც თეორეტიული, ისე პრაქტიკული. რიცხვი

მოწაფეთა იქნება 60—80. საზოგადოებამ უნდა შეიძინოს მხოლოდ ინვენტარი, აგრეთვე სკოლისათვის სხვა საჭირო შენობა და უნდა შეაკავოს მიწა.

ეს სკოლა ახალის ტიპისაა და მოწონებული მრთელ რუსეთში. იგი ამზადებს ნამდვილ მეურნეს და არა ისეთებს, რომელნიც სხვა და სხვა კანცელარიაში თუმნიან და ორ თუმნიან ადგილებზე მიილტვიან.

საზღვარ გარეთის ცხოვრებიდან.

რუს მოგზაურს წაუკითხავს საზღვარ გარეთის გაზეთში ვენაში გამოფენის აღწერა და თავის შთაბეჭდილებანიც გახსენებია. ისა სწერს: კარგი ცხოვრება აქვს საზღვარ გარეთელ ხელოსანს! კულტურული, განათლებული ცხოვრება!

იქ მრავალი კლუბია, ფერეინად წოდებული. დაბინდდება თუ არა, სიმღერა, ცეკვა, მუსიკა ართობს მშრომელ კაცს, უტკობს მას სიცოცხლეს.

შეხვალ ამ გვარ ფერეინში, გული გიხარის. ამისთანებს არა ჩვეული რუსეთელი გაცოცხლებული აქეთიქით იყურება—სხვაგან ხომ არ შევყავი თავიო. სისუფთავე, წესიერება, არა ჩვენებური დროს გატარება.

ჩვენში რას ვხედავთ? ლოთობას, ლანძღვა-გინებას, თავპირის დასისხლიანებას. იქ ყოველ უქმე დღეს თეატრში წარმოდგენა, ან ლექცია, ან გულ-გასართობი მუსიკა.

აი ამ გვარ ადამიანურ ცხოვრების ნიშნებს ხედავ გამოფენაზე.

ამომკრელთა, დურგალთა, მქედელთა, მკერვალთა, ხაბაზთა განყოფილებანი აჩვენებენ, რომ იქაური ხელოსანი არა მარტო ამზადებენ საქონელს, არამედ ჰქმნიან რაიმე ხელოვნურს ნაწარმოებს ყველა თავის დარგში, ჰქმნიან ხელოვნებას!

ხელოვნება მოითხოვს, ნიქის გარდა, წინასწარ მომზადებას, სწავლას, ჰკუა-გონების გამწურთენელს.

აი თუნდ გავისენოთ, როგორ იწვრთნებიან ხელოსნების ხელში მათი შეგირდები. ჩვენში ოსტატი ცემა-ტყეპით უმასპინძლდება შეგირდებს, ან აქეთ-იქით არბევინებს, ან სამზარეულოში ამოსამსახურებს. ამ გვარ გაწრთნას იქ ადგილი არა აქვს.

ხელოსნობის შეგირდობა ნიშნავს იქ ბევრით სწავლას ხელობის კარგად მოწყობილ სახელოსნოში. ყოველი რიგიანი სახელოსნოს, დაარსებიდან სამი წლის შემდეგ, უფლები ეძლევა სახელოსნო სკოლის განხიზნა და შეგირდების მიღებისა.

რომ დაახლოვებით წარმოდგენა ვიქონიოთ ამ გვარ სკოლების რიცხვზე და მათ მნიშვნელობაზე, საკმარისია გავისენოთ, რომ მარტო ვენაში (ავსტრიის სატახტო ქალაქია) ხელოსანთა შეგირდების რიცხვი 50,000-დის აღწევს.

ან რომ ვიცოდეთ, თუ როგორ მზადდებიან, იწვრთნებიან ეს შეგირდები, საჭიროა დაგუბატოთ, მაგალითად, რომ ყასბების შეგირდები სწავლობენ ანატომიას, ე. ი. სხეულის მეცნიერებას.

ამიტომაც საზღვარ გარეთელი ხელოსანი ადამიანად გრძობს თავის თავს, იცის თავისი ფასი, ხალხში თავმომწონეთ დაიარება.

წარილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

დიდი სიამოვნებით მიეკვებეთ თქვენს ზატარა „სახალხო გაზეთს“ თავის ფართო დახიშნულებით, მით უმეტეს, რამ იგი ხელმისაწვდენია დარბი კლასისთვის. მაგრამ ეს ფასიც, რამედიც მსხვა ადნიშნული, რაგორც № 1 მეტაურდიგან სხანს, თქვენ დარბთათვის დიდათ მიგანხიანთ და მომავალში მის დაწევას გუზიანდებით. სამწუხაროთ, თქვენ შეხედულებას ამ სახალხო საქმეზე ვერ შეგწვენენ ზოგი გაზეთის გამედიელები, რამედიც ვაჭრულ ინტერესს ვერ გასცილებიან. „თუ კაპეიკს მოვიკებ თითო გაზეთში ხომ კარგი, თუ არა და არ გაუვიდი. ან მეტ ფასში გაუვიდი“, სთქვა და თავისი გაიყანა კიდეც ამ ფაუბატანმა. გაზეთს სიმკაპეიკად ჰქვიდის, რაიცა ზირდაზირი მიწეზია ამის, რომ ზირედი ნომრის რამედიც ცალიდგან მხალხად თხუთმეტიადე გაივიდა, მხალხად მეტე ნომრის რამედიც ათი ცალიდგან გაუვიდავი დაჩა რამედიც. თუ ასე წავიდა კვლავ საქმე და რაგორმე არ მასწარეგეთ, ვგანებ, დეგრეკელი არ იქნებ: ეს ზატარა, მაგრამ სამშობლსათვის და დაბეზვებულ ხალხისთვის დიდი სარგებლობის მოტანის შემდეგ „სახალხო გაზეთი“. გისურვებთ მეტ სიმხევეს და თქვენვე დაწეებულ სახალხო საქმის უფრო მაღლა აწევას, ხალხ თქვენს გაზეთს დიდხანს სიცოცხლეს და სწორე გზით სვლას.

სანდრო გძელიშვილი.

ქ. ვარი.

რედაქტორ გამომცემელი დარია ხრამლაშვილისა.

გაიხსნა დუბანი

გამომცემელი მასწავლებელი ამზადებს მოწაფეთ საშუალო სასწავლებლისათვის. იზმაილოვის ქუჩა № 14.

სტამბა „გუბანგარისა“
ასრულებს სასტამბო საქმეებს
სუფთად, დროზე და იფად ყველა ენაზე. ოლგისა და სლევცოვის კუთხე № 1.



პირველი მარხანა
კაპუჩუკის
შტემპელებისა.
მ. გ. კობრევიციკი
ტფილისში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ. ბეჭედი და შტემპელი, კლიშე, სტამბის საქმეები.

განცხადება
შინაგან საქმეთა სამინისტროს შუქებაშია
პირველი კავკასიის სტენოგრაფიული გურსები
თ. აკოფიანისა.
ტფილისი, მიხეილის პრასპ. № 53.
შესდგება მე-3-მე ჯგუფი მსმენელთა რთავე სქესისა.
სტენოგრაფია ხელაგნებაა ისეთივე ჩქარის წყლისა, რაგორც ლაზარაჰი. იგი საჭიროა ყოველ განათლებულ ადამიანისთვის. სწავლის დასაწყისი 15 ოქტომბერს ამა წლის მიიღებიან სადამოს 4—71/2 საათ. ზრგრამა, ზირებები და სტენოგრაფიის მნიშვნელობა ეძლევათ გურსების სადგომში გურს დამთავრებულნი თითო წამს 120 სიტყვას სწერენ და ეძლევათ მათ სათანადო დიპლომი (10—3)

ხალხური ლექსები და სიმღერები

შეკრებილი ი. კარგარეთელის-მიერ. იყიდება „ქ.-შ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

მეჩაჰე გუნივის და პებროვისა
მუჩაჰე იყიდება ნაპროპით.
მიწა, ს.ყ. 5—15 მან.
ფასის გადახდა ნაწილობით.
მიმართეთ „გუტენბერგის“ სტამბაში, ოლგის და სლევცოვის ქუჩის კუთხე. (4—3)